

მეგრულ პირსახელთა წარმოების თავისებურებებისათვის

მეგრულ პირსახელთა შედარებამ შესაბამის ქართველურ მასალასთან გარკვეული თავისებურებები წარმოაჩინა. ეს ძირითადად ეხება კომპოზიტურ და ზმნის პირიანი ფორმისგან ნაწარმოებ პირსახელებს.

სტატიაში გაანალიზებულია „ქართული სამართლის ძეგლებში“ (დოლიძე 1970), ს. მაკალათიას ეთნოგრაფიულ ნაშრომში (მაკალათია 2006), დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (მმ) დაცულ აქტებში შემონახული ფორმები, ასევე ჩვენს მიერ ველზე მოპოვებული მასალა.

სახელთა რქმევისას აშკარად იკვეთება სოციალური დიფერენციაცია. გასულ საუკუნემდე დათარიღებულ ძეგლებში გვხვდებიან შორის ნაკლებად გვხვდება ე. წ. კალენდრის სახელები. საინტერესოა, რომ თავადაზნაურთა პირსახელები უმეტესწილად სწორედ კალენდრის (ქრისტიანული) სახელებით არის წარმოდგენილი.

ანთროპონიმის შერჩევისას ჩანს მრქმეველის დამოკიდებულება რქმევის ობიექტის მიმართ – სურვილი, განწყობა, შიში, მოლოდინი...

კომპოზიტების ნაწილებად გვხვდება ყველა სახელი, სხვა მეტყველების ნაწილები (სხვადასხვა ინტენსივობით):

არსებითი სახელი + არსებითი სახელი:

ბაბაკოჩი (მმ) „მამაკაცი“

ბაბაშური „მამასული“ (დოლიძე 1970: 429)

ბაბუკოჩი (მმ) „ბაბუაკაცი“

ბოშკოჩი „ბიჭკაცი“ (მაკალათია 2006: 345)

გერიკოჩი (მმ) „მგელკაცი“

თასკოჩი „თესლიკაცი“ (მაკალათია 2006: 345)

თუთაცირა „მთვარე გოგო“ (მაკალათია 2006: 346)

ხოჯგენი / ხოჯგინი „ხარიხბო“ (მაკალათია 2006: 345)

ჯგერგეკოჩი (დოლიძე 1970: 426). **ჯგერგე** მეგრულში წმინდა გიორგის სახელია, ვვარაუდობთ, რომ კომპოზიტური პირსახელი „წმინდა გიორგის კაცს“ ნიშნავს.

არსებითი + ზედსართავი

თოლიორქო / თოლიოქრო „თვალოქრო“ (დოლიძე 1970: 418, 445)

თოლისკვამი (მმ) / თოსკუამია „თვალლამაზი“ (დოლიძე 1970: 418)

სკვამცირა „ლამაზგოგო“ (მაკალათია 2006: 346)

სქვამგური (მმ) „ლამაზგული“

სქვამკოჩი (მმ) „ლამაზკაცი“

უჩაკოჩა / უჩაკოჩი „შავი კაცი“ (დოლიძე 1970: 414, 444)

ჩეცირა (მმ) „თეთრი გოგო“

ჯგირკოჩი / ჯგირკოჩა (მმ) „კარგი კაცი“...

არსებითი + რიცხვითი

სუკოჩია / სუმკოჩია (მმ) „სამკაცა“

ხუტკუბია „ხუთმტკაველა“ (დოლიძე 1970: 418)

არსებითი + ნაცვალსახელი

მაცირა (მმ) „მე გოგო“

მიცირა (მმ) „ვინ გოგო“

სკანკოჩა (მმ) „შენი კაცა“

სახელი + ნაწილაკი:

კოჩიარა „კაცი არა“ (დოლიძე 1970: 449)

კოჩივარა „კაცი არა“ (დოლიძე 1970: 420)

მეტვარი „მეტი არა“

კომპოზიტური პირსახელის კომპონენტად გვხვდება შორისდებულიც კი: **ვოცირა** „ჰე, გოგო“.

ერთსა და იმავე პირსახელს ხან ერთვის მანთროპონიმებელი სუფიქსი, ხანაც ფუძის სახით არის წარმოდგენილი: **ახალკოჩი / ახალკოჩ-ა** „ახალკაცა“, **გურიკოჩი / გურკოჩ-ა / გურკოჩ-ია** „გულიკაცა“,

თოლისკუამი / თოსკუამ-ია „თვალლამაზი“, უჩაკოჩი / უჩაკოჩ-ა „შავი კაცი“, ჯგეკოჩი / ჯგეკოჩ-აი „კარგკაცა“.

ხმოვანფუძიანი სახელი ჩვეულებრივად შეერწყმის საზღვრულს: **ბაზაკოჩი, თუთაცირა...**

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის გამოყენებისას გვხვდება ბრუნვის ნიშნის შენარჩუნებისა და დაკარგვის შემთხვევები ერთსა და იმავე პირსახელში: **გურიკოჩი / გურკოჩი; თოლიორქო / თოლორქო...**

ქართველურ ანთროპონიმიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზმნის პირიანი ფორმით გადმოცემულ პირსახელებს, თუმცა ქართულში პირიანი ფორმის სახელად წარმოდგენის ნაკლები შემთხვევა გვაქვს: **მახარე, გამიხარდი, მინდია, მომესწარა.....** სვანურში მსგავსი ფორმები ვერ მოვიძიეთ.

მეგრული ძალიან მოქნილად იყენებს ზმნის პირიან ფორმას, შეუძლია აბრუნოს კიდეც, ზმნისთვის უცხო სხვა გრამატიკული კატეგორიებიც აწარმოოს მისგან. აქტიურად იყენებს ადამიანის სახელადაც. მეტიც, მე-17 საუკუნის სამართლის ძეგლები წარმოდგენილ მეგრულ პირსახელებში ზმნის პირიანი ფორმისაგან ნაწარმოები ფორმები უფრო მეტია, ვიდრე კომპოზიტური წარმოებისა.

პირსახელად გამოყენებული მეგრული ზმნა სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი:

1. სახელთა ნაწილი ზმნის მარტივი ფორმით არის წარმოდგენილი, ყოველგვარი მაწარმოებლის დართვის გარეშე:

გიშინ „გაიხსენე“ (მაკალათია 2006: 345)

დოხვადი „დახვდი“ (დოლიძე 1970: 453)

ვამიჩქიდი „არ ვიცოდი („გიცოდი)“ (დოლიძე 1970: 345)

მეულუდუ „მიჰქონდა“ (მაკალათია 2006: 345)

მისხუნუდა „მერჩივნო“ (დოლიძე 1970: 453)

მიძირუდა „მენახე“ (დოლიძე 1970: 421)

მოკონა „გვინდა“

ვაკონა „არ უნდათ“

ქომოკონდა „თუ მინდა“ (დოლიძე 1970: 444)

ქოძირა „ნახო“ (დოლიძე 1970: 427)

მირდიკო „გაზრდილიყავი“

ქომოკონდა „თუ მინდა“ (დოლიძე 1970: 444)

ჩვენთვის მეგრული ვარდიკო არ უკავშირდება ვარდ-ს, მას აქვს ოპოზიციური წყვილი ქორდიკო „ყოფილიყავი“, შესაბამისად, ვარდიკო „არ ყოფილიყავი“-ა.

2. ზმნურ ფორმათა ნაწილს მანთროპონიმებელი სუფიქსი აქვს დართული:

გაცხადი-ა (მმ) „გააცხადე“

გაჭირდი-ა „გაჭირდი“ (დოლიძე 1970: 432)

გემჭიში-ა „დამაწვევინე (შენთვის)“, ან დამწვევი, მომდევნო“ (დოლიძე 1970: 421)

გოკურცხი-ა „გაიღვიძე“ (დოლიძე 1970: 424)

გომთინირი-ა „გამიმართე, გამისწორე“ (დოლიძე 1970: 427)

გომირთი-ა (მმ) „გამიყავი“

დომხვადი-ა „დამხვდი“ (დოლიძე 1970: 449)

ერჩქინდი-ა (მმ) „გაჩნდი“

ეცადი-ა (მმ) „ეცადე“

ვამელი-ა (მმ) „არ მელი“

ვალური-ა „არ მოკვდი“ (მაკალათია 2006: 345). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ვალურია მცენარის სახელს უკავშირდება და მეგრულად „დანდურს, უკვდავას“ ნიშნავს (კარტოზია 2011: 496). არსებობს რქმევის სხვა მოტივაცია: ინფორმატორების მიხედვით, ვალურის დღენაკლულ, ავადმყოფს არქმევდნენ.

ინგარი-ა „იტირე“ (დოლიძე 1970: 420)

მაკეთი-ა „გამაკეთე“ (დოლიძე 1970: 440)

მატანჯი-ა „მტანჯე“ (დოლიძე 1970: 451)

მაძინი-ა „შეემატე“ (მაკალათია 2006: 345)

მახიოლ-ა „გამიხარდა“, ან „გამიხარდე“ (დოლიძე 1970: 445)

მეირდი-ა „გაიზარდე“ (მაკალათია 2006: 345)

მესტუმრი-ა „მესტუმრე“ (დოლიძე 1970: 421)

მესური-ა (მმ) „მესტუმრე“

მიირდი-ა (მმ) / მირდი-ა „გაიზარდე“ (მაკალათია 2006: 344)

მირჩქილი-ა „მისმინე“ (დოლიძე 1970: 419)

მიშველი-ა „მიშველე“ (დოლიძე 1970: 448)

მუკმართი-ა (მმ) „მომიბრუნდი“

მოკოდი-ა „მინდოდი“

ქორდა-ია (მმ) „იყავი“

ხშირად ერთი და იგივე ზმნა ხან პირიანი ფორმით, ხანაც მანთროპონიმებელი სუფიქსითაა წარმოდგენილი: დომხვადი / დომხვადი-ა (დოლიძე 1970: 453) „დამხვდი“, გამიგონი / გამიგონ-ა (დოლიძე 1970: 414, 424) / გამიგონი-ა (მმ) „გამიგონე“, ვამიჩქიდი / ვამიჩქიდი-ა (დოლიძე 1970: 442, 445) „არ ვიცოდი („გიცოდი“)

3. ზმნის პირიანი ფორმა კომპოზიტის ნაწილადაა წარმოდგენილი:

ბოშმორთი „ბიჭო, მოდი“ (მაკალათია 2006: 345)

იშამორთა „იმასთან / იმისთვის მოხვიდე“ (დოლიძე 1970: 425)

კოჩიორე (მმ) „კაცი არის“

მამიყორდი „მე მიყვარდი“ (დოლიძე 1970: 433)

მურჩა (მმ) „რა გაჭამო“

ნამვორდა „რომელი ვიყო“ (მაკალათია 2006: 345)

სოლერდია „საით იყავი“ (დოლიძე 1970: 422)

სორდი „სად იყავი“ (დოლიძე 1970: 428)

სოხერდია „სად იჯექი“ (დოლიძე 1970: 420)

უჩარდია „შავი იყავი“ (მაკალათია 2006: 345)

შურიმიდგა/ი „სული მოითქვი“ (დოლიძე 1970: 426)

შესაბამის ლაზურ მასალაზე (ლაზურ პირსახელებზე) დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ლაზურში მთლიანად თურქული (რესპ. აღმოსავლური) სახელებია დამკვიდრებული. ქართველურ სახელებზე მინიშნების ორიოდ შემთხვევა გვაქვს ი. ასათიანის „ჭანურ (ლაზურ) ტექსტებში“ (ასათიანი 1974). ერთგან წერია: „ახლა ნაზიბროლაა, ადრე ხატიჯე იყო“. სხვაგან ინფორმატორი ჩამოთვლის ლაზურ სახელებს და მიუთითებს: ჰაკი კახიძე – კარახუსეინ-ოღლი, გუბაზი ტუ, კახაბერი, აშო ზოპონან „გუბაზი იყო, კახაბერი, ასე ამბობენ“ (ასათიანი 1974: 181). აქვე

უნდა ითქვას, რომ იკვეთება ერთი სასიამოვნო ტენდენცია – ახალგაზრდა ლაზები შვილებს ლაზურ სახელებს არქმევენ: **ართე** „ერთი ნათელი“, **თანურა** „ციცინათელა“...

მითითებული ლიტერატურა:

ასათიანი 1974 – ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური ტექსტები), თბილისი
დოლიძე 1970 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო
საკანონმდებლო ძეგლები (XI – XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები
და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი
კარტოზია 2010 – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ, ცხადაია,
მეგრულის ლინგვისტური ანალიზი
მაკალათია 2006 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია,
თბილისი

Manana bukia

On the Characteristics of the Derivation of Megrelian First Names

Summary

The paper deals with the characteristics of the derivation of Megrelian first names, namely, those given names that have been derived from the compound and the personal verb forms.

ქართველური ონომასტიკა, ტ. VI, თბილისი, 2013

Karvelian onomastics V. VI, Tbilisi, 2013